ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N2

16 თებერვალი, 2018 ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა. ლაშხი, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე, ნ. ვაჩეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. ირაკლი ზარქუა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. რიმა ბერაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ირაკლი ნადირაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ლევან ხაბეიშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. გიორგი ახვლედიანი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ჯაბა ჯიშკარიანი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ილია ჯიშკარიანი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ნინო ლაცაბიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. მიხეილ ამაშუკელი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. ალექსანდრე ხუჯაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. ლევან დარახველიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. ლევან არველაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. ლევან დავითაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. ლევან ხაბეიშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
15. თემურ გორგაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
16. დავით ჟღენტი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
17. ფრიდონ ინჯია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
18. გიორგი ბირბიჩაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
19. ოთარ გრიგოლია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
20. გიორგი მუსხელიშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
21. გულია გოცირიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ლევან მიქავა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. მაკა ნასრაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
4. დავით კერესელიძე - ა(ა)იპ ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ფინანსური აღრიცხვისა და დაგეგმარების სამსახურის უფროსი;
5. ირაკლი თავართქილაძე - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
6. მამუკა მუმლაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;
7. მალხაზ ჭამბურიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
8. ვლადიმერ ჭიღლაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;
9. ირინა ჭეიშვილი -ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
10. ვახტანგ ჭედიშვილი - ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე;
11. ნათია ლატარია - ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი;
12. მამუკა კობახიძე - თბილისის სატრანსპორტო კომპანიის უფროსი;

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის № 6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.**

მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე
თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე მიესალმა საკრებულოს დეპუტატებსა და მოწვეულ სტუმრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი ზარქუამ მიმართა საკრებულოს ამავე კომისიის; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა; ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების; სარევიზიო და განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებს დაედასტურებინათ კვორუმის არსებობა, რაც მათ დაადასტურეს. ბატონი ირაკლი ასევე მიესალმა სხდომაზე მოწვეულ სტუმრებსა და ჟურნალისტებს. მანვე აღნიშნა, რომ სხდომას ესწრებოდნენ: ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი, ბატონი გაიოზ თალაკვაძე და მისი მოადგილე, ბატონი ლევან მიქავა; სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი, ბატონი ირაკლი თავართქილაძე; თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი, ბატონი ვდალიმერ ჭიღლაძე; ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, ქალბატონი ირინა ჭეიშვილი; ა(ა)იპ ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ფინანსური აღრიცხვისა და დაგეგმარების სამსახურის უფროსი, ბატონი დავით კერესელიძე; მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს უფროსი, ბატონი ვახტანგ ჭედიშვილი და ამავე სააგენტოს წარმომადგენელი, ქალბატონი ნათია ლატარია; ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი, ბატონი მამუკა მუმლაძე და მისი მოადგილე, ბატონი მალხაზ ჭამბურიძე და თბილისის სატრანსპორტო კომპანიის უფროსი, ბატონი მამუკა კობახიძე.

სხდომაზე მოწვეულთა წარდგენის შემდეგ, სიტყვა გადაეცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს, ბატონ გაიოზ თალაკვაძეს.

ბატონი გაიოზ თალაკვაძე მიესალმა სხდომაზე დამსწრეთ და განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ცვლილებები განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით: პირველი არის გარდამავალი ნაშთი, რომელიც 2017 წლის ბოლოს ირიცხებოდა ქ. თბილისის მერიის ანგარიშებზე და რომელიც შეადგენს 35 254 000 ლარს. გარდა ამისა, 576 000 ლარს შეადგენს ევროკავშირის გრანტი, სწორედ ამ თანხით იზრდება 2018 წლის მუნიციპალური ბიუჯეტი და ჯამურად იგი იქნება 896 863 000 ლარი.

ბატონი გაიოზის თქმით, ბიუჯეტში უკვე დაფიქსირდა სატენდერო ეკონომიები 5 408 000 ლარის ოდენობით, რომლის განკარგვის უფლებამოსილება ქ. თბილისის მთავრობას აქვს და მან გადაწყვიტა ეს თანხა ახალი ავტობუსების შეძენაზე მიიმართოს.
აღნიშნულის გარდა, მისი თქმით, 5 000 000 ლარით მცირდება თბილისის მეტრო-სადგურების რეკონსტრუქციის თანხები, რომელიც 10 მილიონით იყო განსაზღვრული. ეს თანხები სხვადასხვა საბიუჯეტო კოდებზე გადანაწილდება.

სულ გადანაწილებული თანხები ჯამურად შეადგენს 45 663 000 ლარს, რომლისგანაც ძირითადი ნაწილი დაიხარჯება ახალი ავტობუსების შეძენაზე, თუმცა გადანაწილებები ხორციელდება მერიის სტრუქტურულ ერთეულებს შორისაც, რაც გამოწვეულია მერიის ახალი საშტატო ნუსხების დამტკიცებით, სამსახურების რეორგანიზაციებით.

ბატონი გაიოზის თქმით, ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების გამაგრება-რემონტისთვის, ბიუჯეტის ცვლილებით, გათვალისწინებულია 4 100 000 ლარი.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ ლევან ხაბეიშვილს, რომელმაც მიმართა ა(ა)იპ ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს წარმოადგენელს, ბატონ დავით კერესელიძეს და განმარტა, რომ თბილისში, ქვემო ფონიჭალაში მდებარე ერთ-ერთ ბაღში არის სავალალო მდგომარეობა, მათ შორის ჩამოდის წყალი; ასევე, ჩუღურეთში ერთ-ერთ საბავშვო ბაგა-ბაღის პროექტი ითვალისწინებს სახურავზე ბავშვთა გასართობი სივრცის მოწყობას. ბატონი ლევანი დაინტერესდა რამდენად მისაღებია ბავშვთა გასართობი სივრცეების მოწყობა სახურავებზე.

მანვე იკითხა, თუ სმენიათ მთავრობის დადგენილებაზე, სადაც ბავშვებისთვის მწვანე ზოლის მოწყობა ცალკე მუხლითაა განსაზღვრული და ცალკე რეკომენდაციაა გათვალისწინებული. მისი თქმით, თუ ბიუჯეტის ცვლილებით ბაღებისათვის დამატებით გამოყოფილი 4 100 000 ლარი მსგავს პროექტებზე დაიხარჯება, ეს დამაზიანებელი იქნება.

ბატონმა ლევანმა ასევე განმარტა, რომ ამ ბაღის მშენებლობა 2017 წლის სექტემბერში უნდა დასრულებულიყო, მასზე გაწეული სამუშაოების ღირებულების 80% (1 300 000 ლარი) გადახდილია ბიუჯეტიდან, ამ დროს ახლიდან უნდა გამოცხადდეს ტენდერი და მანამდე მშენებარე ბაღში წვიმა ჩადის.

ბატონმა დავით კერესელიძემ, საპასუხოდ, განმარტა, რომ 2018 წლის საბიუჯეტო ცვლილება, რომლითაც ბაღებს დამატებით 4 100 000 ლარი გამოეყოფა, არანაირ კავშირში არაა ხსენებულ ბაღთან. ბიუჯეტით გამოყოფილი დამატებითი თანხები გათვალისწინებულია ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების გამაგრებითი სამუშაოებისთვის. ამგვარ ბაღებში აღსაზრდელების ყოფნა სახიფათოა, ამიტომ, მათი გამაგრება გადაუდებელია.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ სთხოვა ბატონ დავით კერესელიძეს ქ. თბილისის საკრებულოს სხდომამდე წარმოედგინა დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ბატონმა ლევან ხაბეიშვილმა დამატებით დასვა შეკითხვა გლდანის მე-5 მიკროში მიმდინარე ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, ბაღი ჭაობზე შენდება და იქ დასაქმებული მუშები პირად საუბრებში ამბობენ, რომ მუშაობისას მიწიდან წყალი ამოდის. ბატონმა ლევანმა მოუწოდა საკრებულოს წევრებს, ადგილზეევე გაეცნონ ბაღის მშენებლობას.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ სამუშაოების დაკვეთასთან დაკავშირებით არსებობდა გარკვეული სახის პრობლემები, მთ შორის ტენდერებში და ამის შესახებ პირველად სწორედ მმართველმა გუნდმა განაცხადა და შეაჩერა შესაბამისი სამუშაოები - არა მხოლოდ საბავშვო ბაგა-ბაღებში, არამედ მეტროსადგურებშიც. მისი თქმით, არავის შერჩება სამუშაოების უხარისხოდ შესრულება და მსგავსად თბილისის მერისა, საკრებულოს წევრებიც ადგილზე გაეცნობიან სხვადასხვა მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს და კანონის ფარგლებში მოითხოვენ ხარვეზული სამუშაოების გამოსწორებას.

ბატონ მამუკა მუმლაძეს შეკითხვა დაუსვა საკრებულოს წევრმა, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ოთარ გრიგოლიამ. იგი დაინტერესდა, თუ რომელ კომპანიებთან აქვს მოლაპარაკება თბილისის მერიას 100 მუნიციპალური ავტობუსის შესყიდვისთვის. მისივე განმარტებით, სხდომის წინა დღეს საინფორმაციო გადაცემაში („პალიტრა ნიუსი") ოპოზიციის მხრიდან გაჟღერდა, რომ ავტობუსების შესყიდვაზე მოლაპარაკება ჩინურ კომპანიებთან მიმდინარეობდა.

ბატონმა მამუკამ მუმლაძემ უპასუხა, რომ ავტობუსების შესყიდვაზე მოალაპარაკება ჩინურ კომპანიებთან არ მიმდინარეობს.

ამავე კითხვაზე კომენტარი გააკეთა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი განმარტებით, მერიამ გადაწყვიტა, რომ მინიმუმ, 100 ავტობუსი შეისყიდოს. რაც შეეხება ჩინური კომპანიისგან შესყიდვაზე დასმულ კითხვას, ბატონმა მან აღნიშნა, ხარისხი არ შემცირდება და 2018 წლის განმავლობაში შესყიდული MAN-ის ავტობუსებზე დაბალხარისხიანი ავტობუსების შესყიდვა არ მოხდება.

შეკითხვა დასვა საკრებულოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ნადირაძემ. მან აღნიშნა, რომ მიმდნარე წლის 1 მარტისთვის თბილისის საკრებულოში, ალბათ, უკვე შემოვა 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, სადაც ვნახავთ, რომელი მუხლი რა პროცენტით შესრულდა. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა, მას სურს იკითხოს თუ ბიუჯეტის რომელ მუხლებს მოაკლდა 34 მილიონი ლარი და საიდან დარჩა აღნიშნული ნაშთი.

მანვე აღნიშნა, რომ თბილისის მერია ქმნის შპს „მწვანე ქალაქს" გამწვანების მიმართულებით საქმიანობისთვის და დაინტერესდა, თუ რა თანხა იქნება გამოყოფილი აღნიშნული შპს-ს საწესდებო კაპიტალისთვის. არის თუ არა დაანგარიშებული თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნობა, ასევე რა თანხით განისაზღვრება შრომის ანაზღაურება.

ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ, საპასუხოდ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულების საკითხს დაწვრილებით შემდგომში განიხილავენ, თუმცა მოცემული მომენტისთვის შეუძლია თქვას, რომ იგი 98%-მდე შესრულდა. საბიუჯეტო ნაშთი დაკავშირებით, კი აღნიშნა, რომ ის არ დარჩენილა მხოლოდ ასიგნებებიდან, არამედ იყო გადაჭარბების შედეგიც.

რაც შეეხება შპს ,,მწვანე ქალაქის'' საწესდებო კაპიტალს, იგი შეივსება ,,თბილსერვისისა'' და სხვა კერძო კომპანიებისთვის (რომლებიც აქამდე ახორციელებდნენ პარკების მოვლა-პატრონობას) გათვალისწინებული, აკუმულირებული სახსრებით. ეს თანხა, დაახლოებით, 5.5-დან 6 მილიონ ლარამდეა.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ჯამში იზრდება 35 000 000 ლარით, რაც შედგება გარდამავალი ნაშთისა და ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ტრანშისგან (189 000 ევრო). აღნიშნული თანხის უმეტესი ნაწილი, დაახლოებით 32 000 000 ლარი მიემართება ავტობუსების შეძენაზე. რაც შეეხება მუხლებს შორის გადანაწილებას, ეს ხორციელდება დაახლოებით 15 მლნ. ლარის ფარგლებში. ბატონმა ირაკლიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ არ იზრდება სახელფასო ფონდი, არამედ მერიის ზოგიერთ საქალაქო სამსახურიდან ხდება გარკვეული შტატების ახლადდაფუძნებულ ა(ა)იპებ-სა თუ სსიპ-ებში გადანაწილება.

სიტყვა გადაეცა ბატონ გიორგი ბირბიჩაძე, რომელმაც განმარტა, რომ წინა დღით, ერთ-ერთ ტელედებატში ყოფნისას, მისი ოპონენტი უმტკიცებდა, რომ ბიუჯეტის ცვლიებით, თბილისის გამგეობებში იზრდება საშტატო ერთეულები. მან სთხოვა ბატონ გაიოზ თალაკვაძეს, დაეზუსტებინა ზრდებოდა, თუ არა, საშტატო ერთეულები რაიონებში.

საპასუხოდ, ბატონმა გაიოზმა განმარტა, რომ ეს ინფორმაცია მცდარია და შტატები არ იზრდება.

საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ირაკლი ნადირაძემ განმარტა, რომ როდესაც საკრებულომ დაამტკიცა 2018 წლის ბიუჯეტი - შრომის ანაზღაურების მუხლში 82 716 500 ლარი იყო გათვალისწინებული, ეხლა კი, 82 610 800 ლარია გათვალისწინებული - იგი 105 700 ლარით შემცირდა. მან სთხოვა აღნიშნული ციფრების დადასტურება ბატონ გაიოზს., რაც ბატონმა გაიოზმა დაადასტურა.

ბატონი ირაკლი ნადირაძის ასევე, აღნიშნა, რომ თბილისის მერიამ ფაქტობრივად დაადასტურა, რომ ქმნის არანაკლებ 230 საშტატო ერთეულიან შპს-ს და სთხოვა ბატონ გაიოზ თალაკვაძეს დაედასტურებინა, რომ მისი საშტატო რიცხოვნობა არ აისახება მერიის საერთო საშტატო რიცხოვნობაზე. მისი თქმით, სახეზეა საშტატო რიცხოვნობის და ბიუროკრატიის ზრდა, დანარჩენ საკთხებზე კი, საკრებულოს სხდომაზე ისაუბრებს.

საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა რიმა ბერაძემ თქვა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცებიდან სულ რაღაც ორი თვის განმავლობაში იგი 35 მლნ. ლარით გაიზარდა და რაც

მთავარია აღნიშნული თანხა მნიშვნელოვან მიმართულებებზე ნაწილდება - ახალი ავტობუსების შესყიდვისა და საბავშვო ბაღების დაფინანსებაზე. მანვე განმარტა, რომ ქ. თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისია დაინტერესდება ბატონი ლევან ხაბეიშვილის მიერ ხსენებულ მშენებარე ბაღთან დაკავშირებით და მოიკვლევს ამ საკთხს. ქალბატონმა რიმა ბერაძემ დამატებით აღნიშნა, რომ საკრებულოს სარევიზიო კომისია მაქსიმალურად გააკონტროლებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ ხარჯვას.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ თბილისის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების კომისიამ და მერიის შესაბამისმა სამსახურმა ერთი თვის წინ წარმოადგინა ახალი პროექტის შესახებ გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 570 000 ევროს ოდენობით გრანტის მიღებას. გრანტი დაიხარჯება ბიზნეს აქსელერატორის შექმნაზე. 2018 წლის ბიჯეტის ცვლილების ფარგლებში, ამ გრანტის პირველი ტრანშე (187 000 ევრო) დაემატება მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურს.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა ქეთევან ჯოხაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით იზრდება თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დაფინანსება. კომისია, რა თქმა, უნდა მხარს უჭერს ბაღების რეაბილიტაციას. დეპუტატმა ასევე, აღნიშნა, რომ ბატონი ლევან ხაბეიშვილის მიერ დასმულ საკთხს საბავშვო ბაგა-ბაღებთან დაკავშირებით, რომელიც სხდომის დარბაზიდან გასულია, ქ. თბილისის საკრებულოს სხდომაზე გაეცემა პასუხი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ირაკლი ზარქუამ, გაიოზ თალაკვაძემ, ლევან ხაბეიშვილმა, ირაკლი ნადირაძემ, მამუკა მუმლაძემ, ოთარ გრიგოლიამ, გიორგი ბირბიჩაძემ, რიმა ბერაძემ, ქეთევან ჯოხაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის № 6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე ----------	5
წინააღმდეგი ----------	1 (კომისიის წევრი, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი)
თავი შეიკავა ----------	0

ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2018** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის **15** დეკემბრის **№ 6-8** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის, შესაბამისი სამსახურის მოსმენისა და მსჯელობის შედეგად, გადაწყვიტა, რომ კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ქეთევან ჯოხაძე